



## ბრძანება N 107

„05“ 06 2017 წელი

ქ. თბილისი

„მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 28 თებერვლის N39 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე, 52-ე და 63-ე მუხლების, „მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს 2015 წლის 20 თებერვლის N68 დადგენილების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დაფუძნების, მისი დებულების დამტკიცებისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2006 წლის 20 ივლისის №714 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №163/ზ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის უწყვეტი პროფესიული განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტის 2017 წლის 02 ივნისის N586506 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

### ვბრძანებ:

- შევიდეს ცვლილება „მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებული ინსტრუმენტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 28 თებერვლის N39 ბრძანებაში და ბრძანების დანართით გათვალისწინებულ „მასწავლებლის შიდა შეფასების სტანდარტიზებულ ინსტრუმენტებს“ დაემატოს 31-ე პუნქტი „სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა წლის განმავლობაში“ დანართის შესაბამისად.
- დაევალოს ცენტრის ადმინისტრაციული უზრუნველყოფის სამსახურს ამ ბრძანების საჯაროდ გამოცხადება ცენტრის ვებგვერდზე - [tpdc.gov.ge](http://tpdc.gov.ge) განთავსებისა და ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილზე ღიად განთავსების გზით.
- ბრძანება ძალაში შედის საჯაროდ გამოცხადებისთანავე.
- ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საჯაროდ გამოცხადებიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6.)

გიორგი მაჩაბელი

დირექტორი

**31. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობა სასწავლო წლის განმავლობაში**

2016-2017 სასწავლო წელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობისთვის მასწავლებლისთვის კრედიტქულის მინიჭება მოხდება მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე.

**მასწავლებლის მიერ შეფასების ჯგუფისთვის წარსადგენი დოკუმენტაცია:**

	დოკუმენტი	განმარტება
1	შეფასების დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია მოსწავლის შესაძლებლობები და საჭიროებები შესაბამის საგანში	შეფასების დოკუმენტი წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა სპეციალური საჭიროებების მქონე მოსწავლისთვის (სსსმ), რომელსაც ასწავლის მასწავლებელი
2	ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) დოკუმენტი	ისგ წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა სსსმ მოსწავლისთვის, რომელსაც ასწავლის მასწავლებელი. ისგ-ში უნდა ჩანდეს სასწავლო მიზანი/მიზნები, სტრატეგიები და მოსწავლის პროგრესის მონიტორინგი.
3	გაკვეთილის გეგმები	მასწავლებელმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 3 გაკვეთილის გეგმა თითოეული სსსმ მოსწავლისთვის. თუ მასწავლებელი ასწავლის სამზე მეტ მოსწავლეს, წარმოადგენს 3, 2 ან/და 1 გაკვეთილს თითოეული მოსწავლისთვის ისე, რომ გაკვეთილების ჯამმა შეადგინოს მინიმუმ 9.

**მასწავლებლისთვის კრედიტქულის მინიჭება:**

მასწავლებელს მიენიჭება 1 კრედიტქულა, თუ ის სრულად წარმოადგენს მოთხოვნილ დოკუმენტაციას თითოეული მოსწავლისთვის.

მასწავლებლის შეფასების ჯგუფი აფასებს, რამდენად ლოგიკურად არის დაკავშირებული ერთმანეთთან მასწავლებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, ასევე არის თუ არა ისინი შინაარსობრივად ერთიანი და იღებს გადაწყვეტილებას მისთვის კრედიტქულის მინიჭების შესახებ.